XV დანართი

მითითებული მე-7 მუხლში

ინტელექტუალური საკუთრების დაცვა

<u>დანართი XV</u>

<u>მითითებული მე-7 მუხლში</u>

<u>ინტელექტუალური საკუთრების დაცვა</u>

ნაწილი I

ზოგადი დებულებები

<u>მუხლი 1</u>

ინტელექტუალური საკუთრების განმარტება

ამ შეთანხმების მიზნებისთვის, „ინტელექტუალური საკუთრება“ მოიცავს სახელდობრ, საავტორო უფლებებს, მათ შორის კომპიუტერული პროგრამებისა და მონაცემთა ბაზების დაცვას, ისევე, როგორც, მომიჯნავე უფლებებს, სასაქონლო ნიშნებს საქონლისა და მომსახურებისათვის, საქონლის გეოგრაფიულ აღნიშვნებს (მათ შორის ადგილწარმოშობის დასახელებებს) და წარმოშობის წყაროს აღნიშნვნებს საქონლისა და მომსახურებისათვის, დიზაინებს, პატენტებს, მცენარეთა ჯიშებს, ინტეგრალური მიკროსქემის ტოპოლოგიებს და ასევე, დაცულ ინფორმაციას.

<u>მუხლი 2</u>

საერთაშორისო კონვენციები

1. მხარეები ადასტურებენ თავიანთ ვალდებულებებს, რომლებიც განსაზღვრულია შემდეგ მრავალმხრივ შეთანხმებებში :

(a) შეთანხმება ინტელექტუალური საკუთრების უფლებების ვაჭრობასთან დაკავშირებული ასპექტების შესახებ (TRIPS);

(b)1883 წლის 20 მარტის სამრეწველო საკუთრების დაცვის პარიზის კონვენცია, გადასინჯული 1967 წლის სტოკჰოლმის აქტით (შემდგომში „პარიზის კონვენცია“);

(c)1886 წლის 9 სექტემბრის ბერნის კონვენცია ლიტერატურის და ხელოვნების ნაწარმოებთა დაცვის შესახებ, გადასინჯული 1971 წლის პარიზის აქტით (შემდგომში „ბერნის კონვენცია“);

(d)1970 წლის 19 ივნისის საპატენტო თანამშრომლობის შეთანხმება, გადასინჯული 2001 წლის ვაშინგტონის აქტით; და

(e)1957 წლის 25 ივნისის ნიშნების რეგისტრაციისათვის განკუთვნილი საქონლისა და მომსახურების საერთაშორისო კლასიფიკაციის შესახებ ნიცის შეთანხმება, გადასინჯული 1979 წლის ჟენევის აქტით;

(f)1961 წლის 26 ოქტომბრის საერთაშორისო კონვენცია შემსრულებლების, ფონოგრამების დამამზადებლების და მაუწყებლობის ორგანიზაციების უფლებათა დაცვის შესახებ (შემდგომში „რომის კონვენცია“);

(g) 1989 წლის 27 ივნისის ნიშნების საერთაშორისო რეგისტრაციის შესახებ მადრიდის შეთანხმების ოქმი;

(h)1999 წლის სამრეწველო ნიმუშების საერთაშორისო რეგისტრაციის ჰააგის შეთანხმების ჟენევის აქტი;

(i) 1977 წლის 28 აპრილის ბუდაპეშტის შეთანხმება საპატენტო პროცედურის მიზნებისათვის მიკროორგანიზმთა დეპონირების საერთაშორისო აღიარების შესახებ;

2. მხარეები 2019 წლისთვის, მოახდენენ შემდეგი შეთანხმებების რატიფიცირებას ან შეუერთდებიან მათ იმ შემთხვევაში, თუ ისინი ჯერ არ არიან აღნიშნული შეთანხმების მხარეები, ან აღნიშნული თარიღისთვის დაიცავენ ამ შეთანხმებების არსებით დებულებებს:

(a)ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის (შემდგომში „WIPO“) 1996 წლის 20 დეკემბრის შეთანხმება საავტორო უფლებების შესახებ;

(b)ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის 1996 წლის 20 დეკემბრის შეთანხმება შესრულებებისა და ფონოგრამების შესახებ (შემდგომში „WPPT“); და

(C) მცენარეთა ახალი ჯიშების დაცვის 1991 წლის საერთაშორისო კონვენცია, თუ შესაბამისი მხარე ამ დროისთვის უკვე არ არის მცენარეთა ახალი ჯიშების დაცვის 1978 წლის საერთაშორისო კონვენციის მონაწილე მხარე.

3. თითოეული მხარე გამოიჩენს გონივრულ ძალისხმევას, რათა მოახდინოს 2012 წლის 24 ივნისის აუდიო-ვიზუალური შესრულების შესახებ პეკინის შეთანხმების რატიფიცირება ან შეუერთდეს მას.

4. მხარეები თანხმდებიან, რომ, ნებისმიერი მხარის მოთხოვნისთანავე, დაუყოვნებლივ გამართავენ ექსპერტთა შეხვედრებს იმ საქმიანობის განხორციელების თაობაზე, რომელიც დაკავშირებულია ამ მუხლში მითითებულ კონვენციებთან ან სამომავლო საერთაშორისო კონვენციებთან, ინტელექტუალური საკუთრების უფლებების ჰარმონიზაციის, მართვისა და აღსრულების და ისეთ საერთაშორისო ორგანიზაციებში საქმიანობის თაობაზე, როგორიცაა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია და ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაცია, ასევე ინტელექტუალური საკუთრების საკითხებში შეთანხმების მხარეების იმ მხარეებთან ურთიერთობების თაობაზე, რომლებიც არ წარმოადგენენ შეთანხმების მხარეებს.

5. ამ დანართის დებულებებით არ იზღუდება TRIPS-ის შეთანხმებისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის თაობაზე დოჰას დეკლარაცია, ისევე როგორც მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის გენერალური საბჭოს მიერ 2005 წლის 6 დეკემბერს დამტკიცებული TRIPS-ის შეთანხმების ცვლილება.

ნაწილი II

ინტელექტუალური საკუთრების უფლებების ხელმისაწვდომობასთან, ფარგლებთან და გამოყენებასთან დაკავშირებული სტანდარტები

მუხლი 3

საავტორო და მომიჯნავე უფლებები

1. იმ საერთაშორისო შეთანხმებებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუზღუდავად, რომელთა მონაწილეებს წარმოადგენენ მხარეები, თითოეული მხარე, მისი კანონმდებლობისა და რეგულაციების შესაბამისად, ანიჭებს და უზრუნველყოფს ნაწარმოებების ავტორებსა და შემსრულებლებს, ფონოგრამებისა და ვიდეოგრამების დამამზადებლებს და მაუწყებლობის ორგანიზაციებს, შესაბამისად, მათი ნაწარმოებების, შესრულების, ფონოგრამების, ვიდეოგრამებისა და გადაცემების სათანადო და ეფექტურ დაცვას.

2. დაცვასთან ერთად, რომელიც უზრუნველყოფილია იმ საერთაშორისო შეთანხმებებით, რომელთა მონაწილეებს წარმოადგენენ მხარეები, ან რომელთა რატიფიცირებას მოახდენენ ან რომლებსაც შეუერთდებიან მხარეები წინამდებარე შეთანხმების საფუძველზე, დამატებით, თითოეული მხარე:

(a)ანიჭებს და უზრუნველყოფს აუდიოვიზუალური და ვიზუალური შესრულებების შემსრულებელებს დაცვას, *mutatis mutandis*, ,,WPPT"-ის მე-5, მე-6, მე-7, მე-8 და მე-10 მუხლების შესაბამისად, ,და

(b)ანიჭებს და უზრუნველყოფს ვიდეოგრამის დამამზადებლებს დაცვას, *mutatis mutandis* ,,WPPT"-ისის მე-11, მე-12, მე-13 და მე-14 მუხლების შესაბამისად, .

3. თითოეული მხარე უზრუნველყოფს, რომ მაუწყებლობის ორგანიზაციას გააჩნია ექსკლუზიურ უფლება, სულ მცირე, ნება დართოს შემდეგი ქმედებების განხორციელება: ს: ხელახალი გადაცემა, ჩანაწერების გავრცელება, ჩაწერის შემდგომი გადაცემა,ჩაწერილი გადაცემის საჯარო გაცნობა და გადაცემის ჩანაწერის უსადენო კავშირგაბმულობისმეშვეობოთ ხელახალი გადაცემა.

4. თითოეულ მხარეს შეუძლია ეროვნულ კანონმდებლობაში გაითვალისწინოს იგივე სახის შეზღუდვები ან გამონაკლისები, შემსრულებლების დაცვასთან დაკავშირებით, მათ ვიზუალურ და აუდიოვიზუალურ შესრულებებზე, ვიდეოგრამების დამამზადებლებისა და მაუწყებლობის ორგანიზაციების დაცვასთან დაკავშირებით, როგორც ეს გათვალისწინებულია ლიტერატურის და ხელოვნების ნაწარმოებთა საავტორო უფლების დაცვასთან დაკავშირებულ ამ მხარის ეროვნულ კანონმდებლობაში.

5. წინამდებარე შეთანხმებით შემსრულებლის უფლების ვადა მოქმედებს, სულ მცირე 50 წლიანი პერიოდის ამოწურვამდე, რომელიც აითვლება შესრულების ჩაწერის წლის ბოლოდან.

6. წინამდებარე შეთანხმებით ფონოგრამებისა და ვიდეოგრამების დამამზადებლების უფლების ვადა მოქმედებს სულ მცირე 50-წლიანი პერიოდის ამოწურვამდე, რომელიც აითვლება ფონოგრამის ან ვიდეოგრამის გამოცემის წლის ბოლოდან, ან თუ ასეთი გამოცემა ვერ განხორციელდა ფონოგრამის ან ვიდეოგრამის ჩაწერიდან 50 წლის განმავლობაში, ასეთ შემთხვევაში ვადა აითვლება ჩაწერის წლის ბოლოდან და იმოქმედებს 50 წლის განმავლობაში.

7. ამ შეთანხმებით მაუწყებლობის ორგანიზაციების უფლების ვადა მოქმედებს სულ მცირე 20-წლიანი პერიოდის ამოწურვამდე, რომელიც აითვლება იმ წლის ბოლოდან, როდესაც ადგილი ქონდა გადაცემას.

8. მხარე შეიძლება განთავისუფლდეს მე-6 და მე-7 პუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულებებისაგან ბერნის კონვენციის მე-7 და მე-7*bis* მუხლებით გათვალისწინებული გამონაკლისების გამოყენების შემთხვევაში.

<u>მუხლი 4</u>

სასაქონლო ნიშნები

1. მხარეები უზრუნველყოფენ საქონლისა და მომსახურებისათვის სასაქონლო ნიშანზე უფლებების მფლობელებისთვის სათანადო და ეფექტურ დაცვას. ნებისიერი სიმბოლო ან სიმბოლოთა ერთობლიობა, რაც განასხვავებს ერთი საწარმოს საქონელს ან მომსახურებას მეორე საწარმოს საქონლისა თუ მომსახურებისგან, წარმოადგენს სასაქონლო ნიშანს. ასეთი სიმბოლოები, კერძოდ, სიტყვები, სიტყვათა კომბინაციის ჩათვლით, ადამიანის სახელი , ასო-ბგერები, რიცხვები, გამოსახულებითი ელემენტები, საქონლის ფორმები, ბგერები და ფერთა კომბინაცია, ასევე ასეთი ნიშნების ნებისმიერი ერთობლიობა, შეიძლება დაექვემდებაროს სასაქონლო ნიშნებად რეგისტრაციას.

თუ სიმბოლოებს არ გააჩნიათშესაბამისი საქონლის ან მომსახურების განსხვავების უნარი, მხარეებს უფლება აქვთ დაუშვან ასეთი ნიშნების რეგისტრაცია, გამოყენების შედეგად მოპოვებული განმასხვავებელუნარიანობის საფუძველზე. მხარეებს შეუძლიათ რეგისტრაციის პირობად, მოითხოვონ, ნიშნების ვიზუალურად აღქმადობა,

2. მხარეები ანიჭებენ რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის მფლობელს ექსკლუზიურ უფლებას, რომ მან აუკრძალოს მესამე პირებს, რომლებსაც არ გააჩნიათ მფლობელის თანხმობა, ვაჭრობის პროცესში ისეთი საქონლის ან მომსახურების იდენტური ან მსგავსი ნიშნების გამოყენება, რომლებიც იდენტურია ან მსგავსია იმ საქონლისა და მომსახურებისა, რომლისთვისაც დარეგისტრირდა სასაქონლო ნიშანი, და ასეთი გამოყენება გამოიწვევს აღრევის შესაძლებლობას. იდენტური საქონლისთვის ან მომსახურებისთვის იდენტური ნიშნის გამოყენების შემთხვევაში, აღრევის შესაძლებლობა მხედველობაში უნდა იქნას მიღებული. ზემოაღნიშნული უფლებები არ ზღუდავენ ნებისმიერ მანამდე არსებულ უფლებებს და არ ახდენენ გავლენას მხარეთა შესაძლებლობაზე უზრუნველყონ უფლებებზე წვდომა გამოყენების საფუძველზე.

3. მე-2 პუნქტით გათვალისწინებული დაცვა არ შემოიფარგლება მხოლოდ იმ იდენტური ან მსგავსი საქონლით ან მომსახურებით, როდესაც სასაქონლო ნიშანი საყოველთაოდ ცნობილია შესაბამის ქვეყანაში და თუ სასაქონლო ნიშნის გამოყენება სათანადო მიზეზის გარეშე ზიანს მიაყენებს სასაქონლო ნიშნის განმასხვავებლობას, ან იქნება უსამართლო უპირატესობთ სარგებლობის საფუძველი ან მიაყენებს ზიანს სასაქონლო ნიშნის რეპუტაციას.

4. მხარეები ადასტურებენ მნიშვნელობას და იხელმძღვანელებენ იმ პრინციპებით, რომლებიც გათვალისწინებულია საყოველთაოდ ცნობილი სასაქონლო ნიშნების დაცვის შესახებ ისმო-ს ერთიანი რეკომენდაციებით, რომელიც მიღებულია სამრეწველო საკუთრების დაცვის პარიზის კავშირის ქვეყნების ასამბლეისა და ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის გაერთიანებული ასამბლეის მიერ 1999 წელს, და ასევე ინტერნეტში ნიშნების და ნიშნებში არსებული სხვა სამრეწველო საკუთრების უფლებების დაცვის შესახებ ერთიანი რეკომენდაციებით, რომელიც მიღებულია სამრეწველო საკუთრების დაცვის პარიზის კავშირის ქვეყნების ასამბლეისა და ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის გაერთიანებული ასამბლეის მიერ 2001 წელს

5. თუ სასაქონლო ნიშანი რეპროდუცირებულია ლექსიკონში, სხვა საცნობარო გამოცემაში ან მსგავს გამოცემაში, ამ სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის ფაქტის მითითების გარეშე, სასაქონლო ნიშნის მფლობელი უფლებამოსილია მოითხოვოს გამომცემლის ან გამოცემის გამავრცელებლისგან, უკანასკნელ გამოცემაში შესაბამისი შენიშვნის შეტანა.

<u>მუხლი 5</u>

პატენტები

1. მხარეები უზრუნველყოფენ, რომ სულ მცირე, მათ შესაბამის ეროვნულ კანონმდებლობაში გათვალისწინებული იყოს პატენტების ხელმისაწვდომობა ნებისმიერი გამოგონებებისათვის, იქნება ეს პროდუქტი თუ პროცესი, ტექნოლოგიის ყველა სფეროში, იმ შემთხვევაში, თუ ისინი ახალია, აქვთ საგამომგონებლო დონე და სამრეწველო გამოყენებადობა. მე-3 პუნქტის მიხედვით, პატენტები ხელმისაწვდომია და საპატენტო უფლებების გამოყენება შესაძლებელია განურჩევლად გამოგონების ადგილისა, ტექნოლოგიის დარგისა და პროდუქცია იმპორტირებულია თუ ადგილობრივად წარმოებული. პროდუქტის იმპორტირება და მისი ბაზარზე შეთავაზება მიიჩნევა როგორც „პატენტის მუშაობა“ იმპორტის განმახორციელებელ ქვეყანაში.

2. თითოეულ მხარეს უფლება აქვს არ განიხილოს პატენტუნარიანად ის გამოგონებები, რომელთა აღკვეთა, მათი კომერციული გამოყენების ტერიტორიის ფარგლებში, საჭიროა *საზოგადოებრივი წესრიგის* ან ზნეობის, მათ შორის ადამიანის, ცხოველის ან მცენარის სიცოცხლის ან ჯანმრთელობის დაცვისთვის ან გარემოსთვის სერიოზული ზიანის თავიდან აცილებისთვის, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ასეთი გამორიცხვა არ არის განხორციელებული მხოლოდ იმის გამო, რომ გამოყენება აკრძალულია ამ მხარის კანონმდებლობით.

3. თითოეული მხარე უფლებამოსილია ასევე არ განიხილოს პატენტუნარიანად:

(a) გამოგონება, რომელიც ეხება ადამიანის ან ცხოველის სხეულის ქირურგიული მკურნალობის ან თერაპიის მეთოდს, ან იმ დიაგნოსტიკურ მეთოდებს, რომლებიც გამოიყენება ადამიანის ან ცხოველის სხეულზე; ეს დებულება არ ვრცელდება პროდუქტებზე, კერძოდ, ნივთიერებებზე ან ნაერთებზე, რომლებიც გამოიყენება ნებისმიერ აღნიშნულ მეთოდში;

(b) მცენარეთა და ცხოველთა ჯიშები, ან მცენარეთა და ცხოველთა ჯიშების გამოყვანის არსებითად ბიოლოგიური პროცესები; ეს დებულება არ ვრცელდება მიკრობიოლოგიურ პროცესებზე ან და მიკრობიოლოგიურ პროდუქტებზე;

4. მხარეები ითვალისწინებენ საკომპენსაციო ვადას ფარმაცევტული პროდუქციისა და მცენარეთა დაცვის პროდუქტების დაცვისთვის, რომლის ათვლა იწყება პატენტის მაქსიმალური 20-წლიანი ვადის ამოწურვიდან იმ პერიოდის განმავლობაში, რომელიც უტოლდება პერიოდს, რომელიც გავიდა პატენტის განაცხადის შეტანის თარიღსა და პროდუქტის ბაზარზე დაშვების თარიღს შორის, შემცირებულს ხუთი წლის ვადით. ასეთი საკომპენსაციო დაცვა მოიცავს მაქსიმუმ ხუთწლიან პერიოდს და მისი მინიჭება მოხდება შემდეგი პირობების დაცვით:

(a) პროდუქტი დაცულია მოქმედი პატენტით;

(b) არსებობს სამედიცინო ან მცენარეთა დაცვის პროდუქტების ბაზარზე დაშვების ოფიციალური ნებართვის მოპოვების ვალდებულება;

(c) პატენტით მინიჭებული უფლება გადავადებულია ბაზარზე დაშვების ნებართვის მიღებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული პროცედურების გამო, ისე, რომ პატენტის ეფექტური გამოყენების ვადა შეადგენდეს 15 წელზე ნაკლებს; და

(d)პატენტით მინიჭებული ეფექტური დაცვის ვადა და საკომპენსაციო დაცვა ერთად არ უნდა აღემატებოდეს 15 წელს.

<u>მუხლი 6</u>

<u>დახურული ინფორმაცია</u>

1. როდესაც მხარეებისგან ფარმაცეფტული პროდუქციის ან ქიმიური ან ბიოლოგიური საწარმოების მიერ გამოყენებადი მცენარეთა დაცვის პროდუქტების ბაზარზე განსათავსებლად ნებართვისთვის საჭირო პირობის სახით მოითხოვება დახურული ცდის შესახებ მონაცემების და სხვა ისეთი მონაცემების წარდგენა, რომელთა შექმნა მნიშვნელოვან ძალისხმევასთან არის დაკავშირებული, მხარეები იცავენ ასეთ მონაცემებს არაკეთილსინდისიერი კომერციული გამოყენებისაგან. გარდა ამისა, მხარეები იცავენ ასეთ მონაცემებს გასაჯაროებისგან, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საჭიროა საზოგადოების დაცვა ან თუ არის მიღებული ზომები მონაცემთა არაკეთილსინდისიერი კომერციული გამოყენებისგან დაცვის მიზნით.

2. მხარეები არ დაუშვებენ, რომ ბაზარზე განთავსების მსურველი განმცხადებლები დაეყრდნონ ან მიმართონ პირველი განმცხადებლის მიერ კომპეტენტური ორგანოსთვის ჩაბარებული ცდის დახურულ მონაცემებს ან სხვა მონაცემებს, ფარმაცევტული პროდუქციისთვის სულ მცირე ექვსწლიანი და მცენარეთა დაცვის პროდუქტებისთვის სულ მცირე ათწლიანი პერიოდებისთვის, რომელთა ათვლა იწყება ბაზარზე დაშვების ნებართვის მიღების თარიღიდან.

3. ფარმაცევტულ პროდუქციასთან დაკავშირებული მეორე ქვეპუნქტით გათვალისწინებული დაცვის ვადა გრძელდება მინიმუმ ერთ წლამდე, თუ სულ მცირე ამ დაცვის ვადის განმავლობაში, ბაზარზე დაშვების ნებართვის მფლობელი მიიღებს ნებართვას პრეპარატის ერთი ან მეტი ახალი სამკურნალო დანიშნულებით გამოყენებაზე, რომელიც, ნებართვის გაცემამდე სამეცნიერო შეფასების შედეგად, მნიშვნელოვანი კლინიკური სარგებლის მომატანია მკურნალობის არსებულ მეთოდებთან შედარებით.

4. ასეთ მონაცემებზე დაყრდნობა ან მათი გათვალისწინება შეიძლება დაშვებულ იქნას, ხერხემლიან ცხოველებთან მიმართებაში, მცენარეთა დაცვის პროდუქტების ტესტების შედეგების

დამატებითი დუბლირების თავიდან აცილების მიზნით, იმ შემთხვევაში, თუ პირველი განმცხადებელი მიიღებს სათანადო კომპენსაციას.

<u>მუხლი 7</u>

დიზაინი

მხარეები უზრუნველყოფენ თავიანთ ეროვნულ კანონმდებლობაში დიზაინის სათანადო და ეფექტურ დაცვას, ჯამში დაცვის არანკლებ 25-წლიანი პერიოდის მინიჭებით. მხარეებს უფლება აქვთ უზრუნველყონ დაცვის უფრო ხანმოკლე პერიოდი ისეთი დიზაინის კომპონენტებისთვის, რომლებიც გამოიყენება პროდუქტის აღდგენის მიზნით.

<u>მუხლი 8</u>

გეოგრაფიული აღნიშვნები

1. მხარეები საკუთარ ეროვნულ კანონმდებლობაში ყველა საქონელთან მიმართებაში უზრუნველყოფენ გეოგრაფიული აღნიშვნების დაცვის სათანადო და ეფექტურ საშუალებებს.

2. წინამდებარე დანართის მიზნებისათვის, „გეოგრაფიული აღნიშვნები“ ეწოდება აღნიშვნებს, რომლებიც ახდენენ მხრეთა ტერიტორიებიდან, ან რეგიონიდან ან ამ ტერიტორიის რაიონიდან წარმოშობილი საქონლის იდენტიფიცირებას, სადაც საქონლის მოცემული ხარისხი, რეპუტაცია ან სხვა მახასიათებლები არსებითად დაკავშირებულია მის გეოგრაფიულ წარმოშობასთან.
3. TRIPS-ის შეთანხმების 23-ე მუხლის შეუზღუდავად, მხარეები, დაინტერესებული მხარეებისთვის უზრუნველყოფენ სამართლებლივ მექანიზმებს იმისათვის, რომ აღკვეთონ გეოგრაფიული აღნიშვნების გამოყენება ისეთ საქონელზე, რომელიც არ არის წარმოშობილი შეფუთვაზე მითითებული ადგილიდან და რომელსაც შეცდომაში შეჰყავს საზოგადოება საქონლის გეოგრაფიულ წარმოშობასთან დაკავშირებით ან წარმოადგენს არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აქტს, პარიზის კონვენციის 10bis მუხლის შესაბამისად.

4. მხარეები დაინტერესებული მხარეებისთვის უზრუნველყოფენ სამართლებლივ საშუალებებს იმისათვის, რომ აღკვეთონ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებისა და კვების პროდუქტების გეოგრაფიული აღნიშვნების გამოყენება ისეთი იდენტური ან მსგავსი საქონლისთვის, რომლებიც არ არის წარმოშობილი შეფუთვაზე მითითებული ადგილიდან.

<u>მუხლი 9</u>

წარმოშობის წყაროს აღნიშვნები და ქვეყნის სახელწოდებები

1. მხარეები საკუთარ ეროვნულ კანონმდებლობაში, ყველა საქონელთან და მომსახურებასთან მიმართებაში, ითვალისწინებენ წარმოშობის წყაროს აღნიშვნების და ქვეყნის სახელწოდებებისა და დროშების დაცვის სათანადო და ეფექტურ საშუალებებს.

2. წარმოშობის წყაროს აღნიშვნები წარმოადგენენ საქონლის ან მომსახურების გეოგრაფიული წარმოშობაზე პირდაპირ თუ არაპირდაპირ მითითებას. წინამდებარე დანართის არცერთი პირობით, მხარისგან არ მოითხოვება საკუთარ კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანა, თუ წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლის თარიღისთვის, ამ მხარის საკუთარი ეროვნული კანონმდებლობით წარმოშობის წყაროს აღნიშვნების დაცვა შესაძლებელი იქნება მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც საქონლის ან მომსახურების მოცემული ხარისხი, რეპუტაცია და სხვა მახასიათებელი არსებითად დაკავშირებულია მის გეოგრაფიულ წარმოშობასთან.

3. მხარეები დაინტერესებული მხარეებისთვის უზრუნველყოფენ სამართლებლივ საშუალებებს იმისათვის, რომ აღკვეთონ წარმოშობის წყაროს აღნიშვნების გამოყენება ისეთ საქონელზე, რომელიც არ არის წარმოშობილი შეფუთვაზე მითითებული ადგილიდან და რომელსაც შეცდომაში შეჰყავს საზოგადოება საქონლის გეოგრაფიულ წარმოშობასთან დაკავშირებით ან წარმოადგენს არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აქტს, პარიზის კონვენციის 10bis მუხლის შესაბამისად.

4. მხარეები დაინტერესებული მხარეებისთვის უზრუნველყოფენ სამართლებლივ საშუალებებს იმისათვის, რომ აღკვეთონ წყაროს მითითება მომსახურებისთვის, რომელიც მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება ისეთი შემთხვევებით, როდესაც ასეთი აღნიშვნა გამოიყენება სასაქონლო ნიშნის, საფირმო სახელწოდების ან კომპანიის სახელწოდების სახით[1], ისე, რომ შეცდომაში შეჰყავს საზოგადოება საქონლის გეოგრაფიულ წარმოშობასთან დაკავშირებით ან წარმოადგენს არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აქტს, პარიზის კონვენციის 10bis მუხლის შესაბამისად.

5. მხარეები არ დაუშვებენ მხარის ქვეყნის სახელწოდებების ან მისი ტერიტორიის სახელწოდებების არასწორ ან შეცდომაში შემყვან გამოყენებას ან რეგისტრაციას სასაქონლო ნიშნების, დიზაინის, ან სხვა ნებისმიერი დაცული დასახელების სახით, როგორიცაა კომპანიის სახელწოდება ან ასოციაციების სახელწოდება.

6. მხარეები, პარიზის კონვენციის 6ter მუხლით გათვალისწინებული მათი ვალდებულებების შესაბამისად, არ დაუშვებენ სახელმწიფო გერბების, დროშებისა და მხარის სხვა სახელმწიფო ან რეგიონალური ემბლემების გამოყენებას ან რეგისტრაციას სასაქონლო ნიშნების, დიზაინის ან ნებისმიერი სხვა დაცული დასახელების სახით, როგორიცაა კომპანიის სახელწოდება ან ასოციაციების სახელწოდება, რაც ეწინააღმდეგება ამ მხარის კანონმდებლობითა და რეგულაციებით განსაზღვრულ პირობებს. ეს დაცვა აგრეთვე ვრცელდება იმ ნიშნებზე, რომელთა აღრევა შეიძლება მოხდეს სახელმწიფო გერბებთან, დროშებთან, და მხარის სხვა სახელმწიფო ან რეგიონალურ ემბლემებთან.

ნაწილი III

ინტელექტუალური საკუთრების უფლებების შეძენა და შენარჩუნება

მუხლი 10

შეძენა და შენარჩუნება

თუ ინტელექტუალური საკუთრების უფლების შეძენა ხდება უფლების მინიჭების ან რეგისტრაციის საფუძველზე, მხარეები უზრუნველყოფენ, რომ მინიჭების ან რეგისტრაციის პროცედურები იყოს სულ მცირე იმავე დონეზე, როგორც ეს გათვალისწინებულია TRIPS-ის შეთანხმებით, კერძოდ, 62-ე მუხლით.

ნაწილი IV

ინტელექტუალური საკუთრების უფლების აღსრულება

მუხლი 11

ზოგადი ნაწილი

მხარეები საკუთარ შესაბამის ეროვნულ კანონმდებლობაში უზრუნველყოფენ დებულებებს პირველი მუხლით გათვალისწინებული უფლებების აღსრულების მიზნით, რომლებიც უნდა იყოს სულ მცირე იმავე დონეზე, როგორც ეს გათვალისწინებულია TRIPS-ის შეთანხმებით, კერძოდ, 41-იდან 61-მდე მუხლებით.

---

[1] ამ დებულებაში გათვალისწინებული ვალდებულება შეცდომაში შემყვან გამოყენებასთან ან კომპანიის სახელწოდებების რეგისტრაციასთან დაკავშირებით, საქართველოს შემთხვევაში გამოიყენება ამ შეთანხმების ძალაში შესვლიდან ორი წლის შემდეგ. ამ დებულებით არ მოითხოვება, რომ ეს ვალდებულება გავრცელდეს კომპანიის სახელწოდებების წინა რეგისტრაციებზე.

მუხლი 12

საქონლის შემოტანის შეჩერება

1. მხარეები იღებენ პროცედურებს, რომელთა საფუძველზეც უფლების მფლობელს, რომელსაც გააჩნია საფუძველიანი ეჭვი, იმასთან დაკავშირებით, რომ შეიძლება ადგილი ჰქონდეს საქონლის იმპორტს ან ექსპორტს ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დარღვევით, მიეცემა შესაძლებლობა კომპეტენტურ ორგანოებში, ადმინისტრაციულ ან სასამართლო ორგანოებში შეიტანოს წერილობითი განაცხადი საბაჟო ორგანოების მიერ ასეთი საქონლის შემოტანის შეჩერების მოთხოვნით.

2. მხარეები მიანიჭებენ საკუთარ კომპეტენტურ ორგანოებს შესაძლებლობას იმოქმედონ საკუთარი ინიციატივით და შეაჩერონ საქონლის შემოტანა, როდესაც მათ გაუჩნდებათ საფუძვლიანი ეჭვი, რომ საქონლის იმპორტი ან ექსპორტი დაარღვევს ინტელექტუალური საკუთრების უფლებებს. [2]

3. მხარეები უფლებას ანიჭებენ საკუთარ საბაჟო ორგანოებს მოახდინონ უფლების მფლობელის ინფორმირება, რათა ამ უკანასკნელმა შესძლოს განცხადების წარდგენა პირველი პუნქტის შესაბამისად.

4. იგულისხმება, რომ პირველ და მეორე პუნქტში მითითებული პროცედურების გამოყენება არ წარმოადგენს ვალდებულებას, უფლების მფლობელის მიერ ან მისი თანხმობით ბაზარზე განთავსებული საქონლის შემოტანის შეჩერებასთან დაკავშირებით.

5. პირველ და მეორე პუნქტებში მითითებული შეჩერების შემთხვევაში, მხარის საბაჟოს ტერიტორიაზე იმპორტთან ან საბაჟოს ტერიტორიიდან ექსპორტთან დაკავშირებით, მხარის კომპეტენტური ორგანოები, რომელთა მიერ ხორციელდება პროდუქტების შემოტანის შეჩერება, შეატყობინებენ უფლების მფლობელს შეჩერების შესახებ, მათ შორის საჭირო ინფორმაციას უფლების მფლობელის უფლებების აღსრულების მიზნით, როგორიცაა ტვირთგამგზავნის [3]ან ტვირთმიმღების, თუ ექსპორტიორის ან იმპორტიორის სახელწოდებები და მისამართები და აღნიშნული პროდუქტების რაოდენობა.

6. თითოეული მხარე კომპეტენტურ ორგანოებს, ადმინისტრაციულ ან სასამართლო ორგანოებს ანიჭებს უფლებამოსილებას, უფლების მფლობელის მოთხოვნის საფუძველზე, მიიღონ გადაწყვეტილება, რომ პროდუქტები, რომელთა შემოტანა შეჩერდაპირველი და მე-2 პუნქტების შესაბამისად, არ გაიცეს მანამ, სანამ ინტელექტუალური საკუთრების უფლების დარღვევასთან დაკავშირებულ დავასთან მიმართებაში საბოლოო გადაწყვეტილება არ იქნება მიღებული.

7. იმ შემთხვევაში, თუ კომპეტენტური ორგანები დაადგენენ, რომ საეჭვო საქონელი არღვევს ინტელექტუალური საკუთრების უფლებას, თითოეული მხარე უზრუნველყოფს უფლების მფლობელისთვის ისეთი პროცედურების ხელმისაწვდომობას, რაც უფლების მფლობელს მისცემს შესაძლებლობას მოითხოვოს იმ ხარჯების ან დანახარჯების ანაზღაურება ისეთი ხაჯების და დანახარჯებისგან დაზღვევა, რომლებიც უფლების მფლობელს შეიძლებოდა გაეღო ამ მუხლში გათვალისწინებული უფლებების ან სამართლებრივი დაცვის საშუალებების გამოყენებასთან დაკავშირებით.

მუხლი 13

შემოწმების უფლება

1. კომპეტენტური ორგანოები ანიჭებენ საქონლის შემოტანის შეჩერებისთვის განაცხადის შემომტან პირს ან სხვა პირებს, რომლებიც მონაწილეობენ საქონლის შემოტანის შეჩერების პროცესში, იმ საქონლის შემოწმების შესაძლებლობას, რომლის შემოტანა შეჩერებულია.

2. საქონლის შემოწმებისას, კომპეტენტურ ორგანოებს უფლება აქვთ აიღონ ნიმუშები და შესაბამისი მხარის მოქმედი წესების შესაბამისად, გადასცენ ისინი ან გააგზავნონ უფლების მფლობელთან, მისი მოთხოვნისას, მხოლოდ ანალიზისა და მისი შემდგომი პროცედურების

---

[2] საქართველოსთვის ეს პირობა გავრცელდება არაუგვიანეს 2018 წლის 1 იანვრისთვის.

[3] საქართველო ვალდებულია უზრუნველყოს უფლების მფლობელის ინფორმირება ტვირთგამგზავნის შესახებ არაუგვიანეს 2018 წლის 1 იანვრისა.

ხელშეწყობის მიზნით. იმ შემთხვევაში, თუ ეს შესაძლებელია ვითარებებიდან გამომდინარე, ნიმუშები უკან უნდა დაბრუნდეს ტექნიკური ანალიზის ჩატარების შემდეგ და სადაც შესაძლებელია, აღნიშნული უნდა განხორციელდეს საქონლის შემოტანამდე ან შეჩერების პირობის გაუქმებამდე. აღნიშნული ნიმუშების ნებისმიერი ანალიზი ხორციელდება მხოლოდ უფლების მფლობელის პასუხისმგებლობით.

3. უფლებების საეჭვო დარღვევით შემოტანილი საქონლის განმცხადებელი, მფლობელი ან მესაკუთრე შეიძლება დაესწროს შემოწმებას მისი კომერციული საიდუმლოს დაცვის მიზნით.

მუხლი 14

სასამართლო აკრძალვები

1. თითოეული მხარე უზრუნველყოფს, რომ საკუთარ სასამართლო ორგანოებს გააჩნდეთ უფლებამოსილება გასცენ ბრძანება დაუყოვნებლივ და ეფექტურ დროებით ღონისძიებებზე იმისათვის, რომ:

   (a) მოხდეს ნებისმიერი ინტელექტუალური საკუთრების უფლების დარღვევის ფაქტის აღკვეთა და განსაკუთრებით მათ იურისდიქციაში არსებულ სამოქალაქო ბრუნვაში საქონლის, მათ შორის განბაჟებული იმპორტირებული საქონლის შეღწევის აღკვეთა;

   (b) შეინარჩუნოს შესაბამისი მტკიცებულება სავარაუდო დარღვევის შესახებ.

2. სასამართლო ორგანოები უფლებამოსილნი არიან მიიღონ დროებითი ღონისძიებები *inaudita altera parte* , სადაც ეს შესაფერისია, კერძოდ, როდესაც ნებისმიერი შეფერხება სავარაუდოდ გამოიწვევს არაპროპორციულ ზიანს უფლების მფლობელისთვის, ან როდესაც არსებობს მტკიცებულების განადგურების უცილობელი რისკი. დროებითი ღონისძიებების მოთხოვნისთანავე სასამართლო ორგანოები იმოქმედებენ ოპერატიულად და გადაწყვეტილებას მიიღებენ ყოველგვარი უსაფუძვლო შეყოვნების გარეშე.

3. თითოეული მხარე უზრუნველყოფს, რომ ინტელექტუალური საკუთრების უფლებების აღსრულებასთან დაკავშირებით სამოქალაქო საქმის წარმოებისას მის სასამართლო ორგანოებს გააჩნდეთ უფლებამოსილება მხარის წინააღმდეგ გასცენ ბრძანება უფლებების დარღვევის შეწყვეტასთან დაკავშირებით, მათ შორის, აღკვეთონ მათი იურისდიქციის სამოქალაქო ბრუნვაში ისეთი იმპორტირებული საქონლის შეღწევა, რომელიც არღვევს ინტელექტუალური საკუთრების უფლებას .

მუხლი 15

საქონლის სამოქალაქო ბრუნვიდან ამოღება

1. მხარეები უზრუნველყოფენ, რომ დარღვევასთან დაკავშირებული დავის მიმდინარეობისას კომპეტენტურმა სასამართლო ორგანოებმა,უფლების მფლობელის მოთხოვნით, შესძლონ ბრძანების გაცემა იმ საქონლის სამოქალაქო ბრუნვიდან ამოღებასთან ან განადგურებასთან დაკავშირებით, რომელიც არღვევს ინტელექტურალური საკუთრების უფლებას.

2. შესაბამის შემთხვევებში, სასამართლო ორგანოებს აგრეთვე უფლება აქვთ გასცენ ბრძანება იმასთან დაკავშირებით, რომ მასალა და იარაღები, რომლებიც ძირითადად გამოიყენებოდა იმ საქონლის შექმნასა თუ წარმოებაში, რომელთა მეშვეობითაც დაირღვა ინტელექტუალური საკუთრების უფლება, ამოღებულ იქნას სავაჭრო ბრუნვიდან ან საერთოდ განადგურდნენ ისინი. ასეთი მოთხოვნების განხილვისას გათვალისწინებული იქნება პროპორციულობის საჭიროება დარღვევის სერიოზულობასა და ბრძანებით დადგენილი სამართლებრივი დაცვის საშუალებებს შორის, ისევე როგორც მესამე მხარეთა ინტერესები.

მუხლი 16

სამოქალაქოსამართლებლივი დაცვის საშუალებები

თითოეული მხარე უზრუნველყოფს, რომ:

(a) სამოქალაქო საქმის წარმოებისას მის სასამართლო ორგანოებს გააჩნდეთ უფლებამოსილება, დააკისრონ დამრღვევს, რომელმაც იცოდა ან უნდა სცოდნოდა, რომ მონაწილეობდა ინტელექტუალური საკუთრების უფლების დარღვევაში, უფლების მფლობელისთვის ზიანის ანაზღაურების ვალდებულება, რომელიც საკმარისი იქნება უფლების მფლობელისთვის დარღვევის შედეგად მიყენებული ზიანის შესაბამისი კომპენსაციისთვის;

(b) ინტელექტუალური საკუთრების უფლების დარღვევისთვის კომპენსაციის თანხის დადგენისას, მხარის სასამართლო ორგანოები განიხილავენ, *inter alia,* ფაქტიური ზარალის ოდენობას ან სამართლიანი სალიცენზიო მოსაკრებელის დადგენას.

<u>მუხლი 17</u>

სისხლისსამართლებლივი დაცვის საშუალებები

თითოეული მხარე ადგენს სისხლისსამართლებლივ პროცედურებს და საურავებს ინტელექტუალური საკუთრების უფლებების განზრახ დაღვევისთვის კომერციული მასშტაბით.

<u>მუხლი 18</u>

ვალდებულებათა გაცხადება, დაცვა ან სათანადო რწმუნება

კომპეტენტურ ორგანოებს ექნებათ უფლებამოსილება მოსთხოვონ განმცხადებელს, რომ გააცხადოს იმ ვალდებულებათა მიღების შესახებ, რომლებიც მას გააჩნია მონაწილე პირების მიმართ და დასაბუთებულ შემთხვევებში, უზრუნველყოს მათი დაცვა ან სათანადო რწუმება, რომელიც საკმარისი იქნება ბრალდებულის და კომპეტენტური ორგანოების დასაცავად და ბოროტად გამოყენების თავიდან ასაცილებლად. ასეთი დაცვა ან სათანადო რწმუნება უსაფუძვლოდ არ შეაფერხებს ამ პროცედურების გამოყენებას.

<u>მუხლი 19</u>

თანამშრომლობა ინტელექტუალური საკუთრების სფეროში

აღიარებენ რა ინტელექტუალური საკუთრების უფლებების მზარდი მნიშვნელობის ფაქტორს სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ განვითარებაში, მხარეები თანხმდებიან გააძლიერონ თანამშრომლობა ინტელექტუალური საკუთრების უფლებების სფეროში.

_____